ერი

№ 7
წელიწადი
მეორე
1914

ფასი:
წლიურათ . . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით. . . . . 4 მანეთი
თვიურათ . . . . . 4 აბაზი
ცალკე ნუმრის ერთი შაური.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

პარასკევი, 10 იანვარი
მისამართი: Кутаисъ, редакція газ. „Е
Ивановская д. Читаева.

ყოველდღიური გაზეთი

ტელეფონი № 149.

„რადიუმი“
ხუთშაბათიდან, 9 იანვრიდან დიდი პროგრამმა.
I.
პატეუურნალი.

II.
ღმერთების სიყვარული
პარიზის ოპერის მაცეკვარი ნაპკოვსკის ქალის მონაწილეობით.

III.
სტუმრათ ქონდრის კაცთან
ძალიან კომიკური.

ორშაბათიდან, 13 იანვრიდან
ნაჩვენები იქნება საუცხოო სურათი.

დრაფი ბიბერი ტრიკ მაუდი.
პაეგზე დამუარეგული ამხანაგება
ს. მ. კირაკოზოვი
და ბ. ბ. ოგანოვი
ბუმაზეი ფლანელი ვოგონი შოტლანდკა.
მიღებულია დიდი საზამთრო საქონელი
კოტიკი ბლიუში ველვეტი.
შაბათობით იყიდება
იაფათ
ნაჭრები.
ველვიური გენუია იდეალი ფლორა.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ერი“

ხელის მოწერა მიიღება 1914 წლისთვის

გაზეთში ახდო მონაწილეობას მიიღებენ ჩვენში ცნობილი პუბლიცისტები, ბელეტრისტები და კრიტიკოსები.

გაზეთის ფასი:
ერთი წლით . . . . 7 მანეთი.
ნახევარი წლით . . . . 4 მანეთი.
ერთი თვით . . . . 4 აბაზი.
და ცალკე ნუმრის . . . 1 შაური.

გაზეთის წლიური დასაკვეთი ფასის გადახდა ნაწალ-ნაწილათაც შეიძლება ამ სახით: ხელის მოწერის დროს—სამი მანეთი, პირველ მაისს—ორი მანეთი და პირველ ეკენისთვესაც—ორი მანეთი. საზღვარგარეთ გაზეთი წლიურათ ღირს 14 მ., ½ წ.—8 მ., თვიურათ 6 აბაზი.

სოფლის მასწავლებლებსა და სოფლის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს გაზეთი ეთმობათ წლიურათ 5 მ., ნახევარ წლით 3 მანეთად და თვიურათ 3 აბაზათ. მისამართი რედაქციისა და კანტორისა: Кутаисъ, редакція газ. „ЕРИ“ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს დასაკვეთი ფული და სხვ. ივანოვის ქუჩა.

ქუთაისი
პირველი კერძო საქეკურნალო
სპეციალისტი აქიმებით.
მუდმივი საწოლებით თ. ს. რედიგინის სახლი თეთრ ხიდთან
ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:
დილით.
კ. ს. ჰაიანცი—ყელის, ცხვირის, ყურისა და ქირურგიული. . . 1—2
გ. ს. ნადირაძე—შინაგანი და ბავშის . . . . . 10—12
ს. ს. რედიგინი—დოსტაქარი, ქალთა, საბებიო . . . 11—12
მ. დ. ბეთანოვი—კანის, ათაშანგი, ვენერ. . . . . 12—2
ვ. ს. ჭოდოშვილი—საბებ., ქალთა და შინაგ. . . . 12½—2
საღამოთ.
ბ. დ. ქორქაშვილი—თვალის . . . . . 4½—5½
ვ. ს. ჭოდოშვილი—საბებიო, ქალთა და შინაგ. . . . 5½—6½
სამკურნალოსთან მოწყობილია საან.—საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა, 606—914 შესხმა კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, აპერაცია და კონსულტაცია მორიგებით. საწოლები 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. აქიმთა მუდმივი მორიგობა.
ტელეფონი № 53
სამკურნალოს დირეკტორი—ვ. ა. ჭოლოშვილი. წ.

18 დეკემბრიდან
დაიწყო ხელის მოწერა
ია ეკალაძის (ი. ცინცაძის) მოთხრობათა მეორე ტომის გამოსაცემად
წიგნი შეიცავს 400—500 გვერდს დართული ექმნება ავტორის სურათი, ფაქსიმილე და კრიტიკული განხილვა.
წიგნი გამოიცემა ავტორის ხელმძღვანელობით სუფთად და ლამაზათ.
ხელის მოწერა მიიღება ბბ-ნ თ. მთავრიშვილის, კ. ოცხელის, „პროვინციის“ წიგნის მაღაზიებში და კერძო აგენტებთან.
ფასი ხელის მოწერითვის ერთი მანეთი.
მიწერ-მოწერა მხოლოდ ავტორთან, შემდეგის მისამართით; ქუთაისი, კათოლიკეთა ქუჩა, სახლი ხოჯევანოვისა.
გამომცემელი ია. ცინცაძე.

ქ. ქუთაისში
ვაჭრობამრეწველობის სამინისტროს უწყებაში მეოთხე
საგულალტერო კურსები
გ. გ. გიგინეიშვილისა
15 იანვრიდან იხსნება მეორე-პარალელური განყოფილება. კურსებზე მსმენელები მიიღება ოთხი კლასის მოწმობით, ანუ შესაფერ გამოცდას შემდეგ რუსულსა და არითმეტიკაში. კურსი ათ თვიანია. სწავლის ფული ასი მანეთი. თხოვნები მიიღება ყოველდღე კურსების კანცელარიაში.

ქალაქის თეატრი
შაბათს, 11 დეკემბერს
ივ. ალ. ჯავახიშვილი
წაიკითხავს ლექციას:
საქართველოს ეკონომიური წესწყობილება
და მდგომარეობა მე 17 და 18 საუკუნ.

1913 წლის 20 ნოემბრიდან
ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ქუთაისის განყოფილებამ
გახსნა სიკუთარი
ახალი სტამბა
—ქუთაისში—
სტამბა საუკეთესოთაა მოწყობილი და იღებს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს ქალაქსა და პროვინციებიდან: —ქართულ, რუსულ და სხ. ენებზე ზომიერ ფასებში.

1914 წლის 2 იანვრიდან
ქუთაისში, კირაკოზოვისა და ოგანოვის სახლში, ბულვრის პირდაპირ გაიხსნა
კანტორა
ნოტარიუსის ვ. პ. კოკოჩაშვილისა.

2 января 1914 года
въ Кутаисѣ на Гимназической ул.
въ д. Киракозова и Оганова открыта
контора
НОТАРІУСА В. П. КОКОЧЕВА.

ქუთაისი.
თ. მთავრიშვილის და ამხ.
წიგნისა და საკანცელარიო ნივთების მაღაზიაში
იყიდება ყოველგვარი სახელმძღვანელო ქართულსა და რუსულ ენაზე შედგენილი. მაღაზიას მუდმივ მოსდის ახალ-ახალი რუსული და ქართული წიგნები, როგორც რუსეთის ცნობილი ფირმებიდან, ისე საქართველოს ყოველი ქალაქიდან—დაბეჭდვისთანავე.
პროვინციის მოთხოვნილებას მაღაზია დაუყონებლივ აკმაყოფილებს.
მაღაზია ღებულობს ხელის მოწერას ყველა რუსულსა და ქართულ ჟურნალ-გაზეთზე.

აქიმი ი. ჩარექოვი იღებს კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს ახალ ბინაზე. მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს. სხვა დროს აქიმი საავათმყოფოშია.
მისამართი: გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში. თ.

აქიმი კ. თ. ტუეშელაშვილი. ღებულობს ავათმყოფებს შინაგანი, ვენერიული, კანის) ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან, პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში. თ.

აქიმი დ. ჯაფარიძე იღებს შინაგანის, ბავშების, აგრეთვე ყელის, ცხვირისა და ყურის სნეულებით ავათმყოფებს. თფილისის ქუჩა სახლი ნიჟარაძისა.

ახალი ამბავი.

ქ. შ. წ. კ. გ. ს. ქუთაისის განყოფილება დღემდი თავის 14 სამკითხველოს სამს ქართულ პერიოდულ გამოცემას უწერდა. წელს კი მას 21 სამკითხველო აქვს გახსნილი ქალაქსა და სოფლებში, რომელთაც გამოუწერა ოთხი შემდეგი გამოცემა: „სასოფლო გაზეთი“, „განათლება“, „ერი“, ნახევარს „ჯეჯილი“ და ნახევარს „ნაკადული“.

განყოფილების სამკითხველოები არის ქუთაისში: 1. არქიელის გორაზე, 2. ქვიტირში, 3. მუხიანაში, 4. სუფსაში, 5. გუბაში, 6. წყალტუბოში, 7. მაღლაკში, 8. დიმში, 9. ბაღდადში, 10. სვირში, 11. სიმონეთში, 12 კურსებში, 13. ხრესილში, 13. ტყიბულში, 15. ალპანაში, 16 ლაილაშში, 17 წესში, 18. ამბროლაურში, 19 სადმელში, 20. აგარისა და 21. წკალისში.

განყოფილება გურიაში ამავე გამოცვმებს საჭამიას სერის სამკითხველოსაც უწერს და ოკრიბაში ჯვარისის სამრევლო შკოლას „ნაკადულს“.

✦ საგუბერნიო ჟანდარმთა მოწვრილობით გუშინ შუადღეზე გაჩხრიკეს სამმა ჟანდარმა უბნის ზედამხედველის თანდასწრებით ჟურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთი“- მთავრობის საწინააღმდეგო ვერა ამოაჩინეს-რა.

✦ დღეს შავაქვის მრეწველთა საბჭოს დარბაზში, საღამოს 7 საათზე ქალთა საზოგადოების მორიგ კრებაზე ელენე ბახტაძის ასული ისაუბრებს შემდეგ თემაზე: „ავგუსტ ბებელი და ქალთა საკითხი“.

✦ ჭიათურის შავიქვის მრეწველთა საბჭოს შემდეგი მორიგი კრება ექნება 16 იანვარს ქუთაისში.

✦ თანახმად შავიქვის მე-XVI კრების მიერ დადგენილი გადაწყვეტილებისა სოფელ ითხვისში საბჭო ხსნის პირველდაწყებით სასწავლებელს. სასწავლებლის მოსაწყობათ და ამ წელში შესანახად გადადებულია ათასხუთასი მანეთი.

შავიქვის მრეწველთა XVI საზოგადო კრებამ დაადგინა მიეცეს ხუთასი მანეთი შემწეობათ რგანის სასოფლო საზოგადოებას სოფლის შკოლის შესანახათ.

✦ ამგვარივე შემწეობა გადაუწყვიტა XVI კრებამ ჭიათურის ბერძენთა შკოლას, რომელსაც 5000 მანეთი მიეცემა.

✦ სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა ჩვენი ქვეყნის ქალთა და ვაჟთა სასწავლებლების გამგეთ მოწერილობა დაუგზავნა—წმ. ნინოობა 14 იანვარი იუქმონ.

✦ ი. გედევანიშვილის ახალი პიესა—„სინათლე“ თფილისის ქართულ სცენაზე თითქმის ზედიზედ მეექვსეთ იდგმება. პირველი მაგალითია, რომ ქართულ სცენაზე, ქართველი მწერლის პიესას ასეთი ბედი ხვდომოდეს.

✦ ივ. ჯავახიშვილის ორსავე ლექციას თფილისის ქართველი საზოგადოება დიდის ყურადღებით შეხვედრია, ხალხი ბლომათ დასწრებია და ნასიამოვნები დარჩენილა. როგორც ჩვენს საზოგადოებას ვაუწყეთ, ხსენებულს ლექციას ბ. ივ. ჯავახიშვილი ხვალ აქ, ქუთაისშიც წაიკითხავს.

✦ ქალაქის გამგეობას ბევრი ოქმი მოდის, რომელიც უმთავრესად ყასბების თავგასულობას შეეხება ნიხრს ზევით ხორცის გაყიდვის თაობაზე და ჩარჩების მიერ გზათ დახვედრასა და მოსაგებათ სანოვაგის ყიდვაზე.

✦ ბათომის ქალაქის გამგეობა შეეხა ქუთაისისას, აცნობოს ამ ჟამათ ქუთაისში რა ნიხრია ხორცსა და პურზე.

✦ ქალაქის საბჭოს სხდომა 15 იანვარს მოხდება.

✦ ჩვენი ქვეყნის რკინის გზების უფროსად დანიშნა პოლკოვნიკი ვასილევსკი.

✦ ქუთაისის წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლის ინსპექტორათ დანიშნულია დანიილოვი.

✦ დიდი ხნია კანტი-კუნტათ გვესმოდა რომ ქუთაისის წმ. ნინოს სასწავლებლის გამგეობაში დიდი განხეთქილება არისო. მდგომარეობა ამ ბოლო ხანებში მეტათ გამწვავებულა. ჩვენ საარწმუნო წყაროებიდან შევიტყვეთ, რომ ახალი ინსპექტორის დანიშვნაც ამ ბრძოლის შედეგიაო.

✦ კვირას, 12 იანვარს სახალხო უნივერსიტეტთან არსებული თეატრალური სექცია გამართავს სახალხო წარმოდგენას. წარმოადგენენ დ. კლდიაშვილის—„ირინეს ბედნიერებას“, რომელსაც რეჟისორობს თვით ავტორი. ფილიპეს როლს ასრულებს ბალანჩივაძე; შემდეგ წარმოადგენენ დ. ყიფიანის ვოდევილს—„ატრიალდა ჯარა“.

რას ვფიქრობთ?

მკითხველო! უთუოდ გაგეგონებათ იმ წყალწაღებული მენავეების ამბავი, რომელთაც ნიჩფებს ხელი უშვეს და მორთეს ყვირილი; „ღმერთო! გვიხსენ დალუპვისგანო“. გახსოვთ ისიც, რომ ნაპირიდან დაუძახეს: „ნიჩფები მოუსვით და ნაშველი იქნებითო“.

სწორეთ ამ ისტორიას მომაგონებს დღევანდელი ჩვენი მდგომარეობაც.

მინდა შევაქციო თქვენი ყურადღება ჩვენი ცხოვრების მიმდინარეობას და იმ არა სასურველ მოვლენას, რომელიც გამოწვეულია ჩვენი ტერიტორიის ხელიდან გამოცლით. ყველასთვის, ცხადია,— ეს მოვლენა რი დიდს სამწუხარო სურათს წარმოადგენს ჩვენთვის. ეს მოვლენა ჩვენი მთავარი ძარღვის შეწყვეტის მომასწავებელია, იგი შავითა და ბნელით მოსავს ჩვენს მომავალს, რადგან ტერიტორია, როგორ ვიცით, ერთი უმთავრესი ნაწილთაგანია სახელმწიფოსი და უმისოთ ბედნიერების მოპოვება ერს არ შეუძლია. და დღეს ჩვენი მისწრაფება, მიზანი და ფიქრი ერის ბედნიერებაზე მეტია. უნდა შევიქნეთ მონები იმ ხალხისა, ვის ხელშიც ჩვენი ადგილ-მამული გადადის.

ამ სამწუხარო ჩვენს მდგომარეობას ყველა ჩვენგანი კარგათ გრძნობს, ყველასთვის ცხადია, ყველა სწუხს, ცხადათ აღიარებს თავის სულიერ ტანჯვას, წვალებას, ყველას ემზნევა საშინელი სულის ხუთვა, ისმის სამწუხარო ამონაკვნესი: „ვაი, რაღა ვქნათ, რა გვეშველება, დავიღუპეთ, ჩვენი ავლა-დიდება სხვის ხელში გადავიდაო“ და სხვა.

ხშირათ, ძალიან ხშირათ ნახავთ ვრცელ წერილებს გაზეთებში. ავტორები მხატრული ენით ასურათებენ ამ მოვლენას. ხოლო რაც შეეხება საშვალების გამოკვლევას, რომლის მეოხებით შეგვეძლება ბრძოლა ამ მოვლენასთან და მოსპობა დამბეჩავებელი მიზეზებისა, ცოტა ყურადღებას აქცევენ. ის, რაც ყველასათვის თვალსაჩინო ნათელ საგანს წარმოადგენს, რაც ყველასათვის ადვილი გასაგებია, მისი აწერა ჩემის აზრით დიდ მოღვაწეობას არ უნდა შეიცავდეს.

საქმე საშვალების გამოკვლევაა, დიახ, საშვალებისა, რომლითაც მოსახერხებელი იქნება თავის ხსნა იმ უბედურებისაგან, რომელიც დღითი დღე მატულობს.

მიზნათ არ მაქვს ამ წერილში ვილაპარაკო საშვალებებზე, რადგანაც ეს ძლიერ რთულ საკითხს წარმოადგენს, მხოლოდ მინდა გაკვრით მოვიხსენიო ის, ჩვენი ზნე-ჩვეულება, რაც წყაროა ამ სამწუხარო მოვლენისა და ავნიშნო საშვალება, რომლის მეოხებითაც შეგვეძლება ხსენებული ჩვეულების მოსპობა.

საუბედუროთ დღევანდელი ჩვენი გამამხნევებელი ახალგაზდობის ნაწილს, რომელიც ელტვის სამშობლო ქვეყნის ტრფიალებას, გმირულ სამსახურს, მაღალ სულოვნებას, გამბედაობას და წინსვლას, ემჩნევა შრომის შეუძლებლობა, ცხოვრებაში პრინციპის გატარების სისუსტე, სუსტი ხასიათი და სხვა უარყოფითი მხარე. ეს ფაქტი ნათლად მიგვითითებს იმაზე, რომ დღეს შრომის და ზნეობის ნაცვლად გამეფებულა ხსენებული ჩვეულებანი ჩვენში და ჩვენს სასწავლებლებში.

ჩემის აზრით ერთად ერთი იმედი ახალთაობაა; ერთადერთი სულ ჩამბრუნებელი, გამაცოცხლებელი და ამყვავებელი ქვეყნისა ახალითაობაა. მთელი სამშობლოს ბედ-იღბალი არის დამყარებული ამ ახალთაობაზე.—მას უნდა ვეფერებოდეთ, მას უნდა ვსცემდეთ პატივს. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროთ, პატივისცემის ნაცვლად ხშირათ ვუმასპინძლდებით მას დაუმსახურებელი ლ ძღვა-გინებით... ეს ერთად-ერთი იმედი, რომელიც არის მაქადაგებელი ქართველი ტომის წინსვლისა, მოქალაქობრივი განვითარებისა, ხალხში მაღალი სულოვნების განხორციელებისა და განსპეტაკებისა, სრულებით უსაფუძვლოთ ხშირათ იგმობიან ამ სამგლოვიარო ქვეყნის პირზე; როდესაც ასეთ საამაყო თაობას ვკიცხავთ და ვლანძღავთ მის მაგიერ ვისზე ვამყარებთ იმედებს, ვის შევყურებთ? ამ დროს ვერ გავიხსენებ და დავეთანხმები ვიკტორ ჰიუგოს შემდეგს სიტყვებს:

გალილეიმ სთქვა—მიწა ბრუნავსო,—
ბოროტათ ჰკიცხეს, სტანჯეს ამისთვის,
ჩანს, ბუნებისა კანონი არის,
რომ ადამიანთ წარმატებისთვის
ჯკეთესები ჯვარს უნდა ეცვან,
შეგვწირონ იმათ თავისუფლება,
მოაკლდენ ჩვენთვის თვალის სინათლეს,
გვიმსხვერპლონ სული, გული, გონება,
მარად იშრომონ მოყვასისათვის.
მათ ოფლი ღვარონ სისხლი ანთხიონ
და ჩვენგან კი ამ ღვაწლისათვის,
ცუდი სახელი ჯილდოთ მიიღონ...
რადგანაც ეს ბუნების კანონი არაა...

ეს არის უბრალო ჩვენი ჩვეულება. თამამათ შეგვიძლია, ჩვენი შექმნილი ჩვეულება ჩვენვე მოვსპოთ.

Mancipium.

ᲤᲝᲗᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲗᲕᲘᲗᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲔᲚᲔᲕᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘ.

ფოთის ქალაქის თვითმართველობაში ედიდი „პერევოროტები“ ხდება. შარშან ქალაქის საბჭომ ბ-ნ ნიკოლაძის დაწინებული მოთხოვნით დაითხოვა ქალაქის მოურავის მოადგილე ი. მეუნარგია და მის ნაცვლად სოლ. ჭოჭუა აირჩია. ბ. ჭოჭუას ხანმოკლე მოღვაწეობამ სავსებით დაარწმუნა იმავე საბჭოს ხმოსანთა უმეტესობა, რომ ამ ვაკანტონის არჩევით დიდი შეცთომა ჩაიდინეს, მაგრამ ნათქვამია—არ არის ბოროტება, რომელსაც თავისებური კარგი მხარე არ ქონდესო—და ამ შეცდომასაც ქალაქის ინტერესებისათვის ფრიად სასურველი შედეგი მოყვა. ესე იგი მოხდა ის, რაც ფოთის ქალაქის საბჭოში ჯერ კაცს არ უნახავს. ფოთის ქალაქის საბჭოს ხმოსნები მუდამ ბრძათ ეთანხმებოდენ გამგეობის, უკეთ რო ვსთქვათ ნიკოლაძის აზრს—და უკამათოდ ღებულობდენ „კი ბატონო-“თი, დღეს კი სხვარიგათ დატრიალდა საქმე. საბჭოს ხმოსანთა ერთი ჯგუფისაგან შესდგა მტკიცე ოპოზიცია, რომელმაც მიზნათ დაისახა მორიგ საქმეების განხილვის დროს არ მიაქციოს ყურადღება იმ გარემოებას, თუ რა აზრისაა ამა თუ იმ საკითხში გამგეობა და ამისდა დამოუკიდებლათ, საკუთარი ჯკუით, გასაჯოს ქალაქის საქმეები და ისე გადაწყვიტოს, როგორც ეს გამოსადეგი იქნება მცხოვრებთა ინტერესებისათვის.

ამ ჯგუფის პირველ გამოსვლისთანავე სხვა წვრილმან საკითხთა შორის თავი იჩინა ცნობილი ელევატორის საკითხმა. აქ საჭიროა მოკლეთ მოვიხსენიოთ ქალაქის ელევატორების გარემოება.

1905 წ. 25 აპრილს ქალაქს შეეკრა პირობით შავიზღვის საამშენებლო საზოგადოება, იგივე ბუნგე-პალაშკოვსკი, რომლის თანახმად საზოგადოებას უნდა გაეშენებია ფოთის ნავსადგურში ელევატორი, რომელიც შეძლებდა დღეში 2.000 ტონი მარგანეცის გადატვირთვას (125 ათას ფუთს უდრის). ეს ელევატორი უნდა ემუშავებია თვით საზოგადოებას მანამ, ვიდრე მისი წმინდა შემოსავლიდან არ გაინაღდებდა პირობისამებრ ხვედრ ფასს 375 ათას მანეთს. ელევატორი ააშენებია ბლეიხერტის ფირმას, მაგრამ როგორც კი შეატყო, რომ ეს ელევატორები არ იყვენ სავარგისი ე. ი. პირობის დამაკმაყოფილებელი, მაშინვე შეეცადა ეს ელევატორები ქალაქისთვის გადაეცა. გამგეობამ არ დააყოვნა ამ სურვილის სისრულეში მოყვანა და ურჩია საბჭოს, მიეღო ეს ელევატორები შემდეგი პირობით: ელევატორი მზათ არის პირობის თანახმად; წარმოების დაწყება გადაიდვას, სანამ ქალაქი შეადგენს ელევატორის წარმოების წესდებას; პირობის ვადაზე შეუსრულებლობის პასუხისგება ეპატიოს კონტრაგენტებს, ვინაიდან ეს გარა, შემდეგ მასწავლებელიც მოვიდა და მხიარული სახის გამომეტყველებით მითხრა: „მადლობა ღმერთს, რო შენა ხარ, ჩვენ კი სულ სხვა გვეგონე“. მასწავლებელი ჩემა კარგი ნაცნობი გამოდგა, მაგრამ პირველი შეხედვით ვერ ვიცანი; საცოდავი, თითქმის გაველურებულ ადამიანს დამზგავსებოდა: ისე შებუნგლილიყო თმით, რომ თითქოს დავიწყებოდა სრულიად არა თუ დალაქის არსებობა ქვეყნიერებაზე, მაგრატლის წარმოდგენაც კი დაკარგვიაო, იტყოდით. ძნელი იყო მისი ცნობა, მაგრამ, როდესაც თვალებში ჩავხედე, შევიცანი ჩემი ნაცნობი და მეზობელი, ჩემი ალექსი. ჩემს მხიარულებას საზღვარი არ ქონდა, მით უფრო ძლიერი უნდა ყოფილიყო ჩემი აღტაცება, რომ რამდენიმე დღე სოფლად დავიოდი და არავინ შემხვედრია ნაცნობი ადამიანი, რომ ჯა-ბაასით თავი გამერთო. მიამა ჩემი ალექსის შეხვედრა. ალექსის მხიარულებასაც არ ქონდა საზღვარი, თურმე მის აღტაცებას საზღვარი არც უნდა ქონოდა... მხიარულებას ვამჩნევდი ამ დახვედრილ საზოგადოებას—მასწავლებელს და მისს მოსწავლეებს, არ ვიცოდი კი, რისთვის მიმეწერა ყველა ეს. თითქოს შემატყო და რომ კამოვეყვანე ამ გაუგებრობიდან, მასწავლებელსა, ჩემმა ალექსიმ მითხრა: იცი, შენ რომ, აი, იმ სერზე გამოჩნდი ჩვენკენ მომავალი ევროპიული ტანსაცმლიდ, ბავშებმა შეგიცვნეს სახალხო შკოლების ზედამხედველათ, შეშინდენ, გამოიღეს პარტებიდან, თუ ვისმე მათგანს კი ქონდა ქართული წიგნი, ან რვეული და ბუჩქებში დამალეს, რო ზედამხედველს არ ენახა და საყვედური არ ეთქვა, როგორც მათთვის, ისე ჩემთვის, რომ ჩვენ ქართულ წიგნს და რვეულს ვენათესავებით... ამ სიტყვებთან ერთად მიაქცია ჩემი ყურადღება იმაზე, თუ როგორ დაეძებდენ ბავშები ჩირგვებში მიმალულ წიგნებსა და რვეულებს. ამ სურათმა ძლიერ იმოქმედა ჩემზე და დამაღონა... ვსთქვი ჩემს გულში, რა დანაშაულობა ჩაგვიდენია, რომ ასეთ განსაცთელში ჩავარდნილვართ! ამ საცოდავ ნაწყვესურ ბავშებს ქართულს, თავის დედა-ენას ართმევენ, არ ასწავლიან, რუსულს კი იმდენს ვერ ასწავლიან, რომ ცხოვრებაში გამოადგესთ, ან საიდან უნდა ისწავლოს ამ საცოდავმა ნაწყვესურმა ბავშმა, რომ არავისგან მას ეს ენა ამ მთაში არ ესმის. მისმა მასწავლებელმაც კი საყველ-პურო რუსული თუ იცის. მისთვისაც, ე. ი. მასწავლებლისათვისაც წამებაა მასწავლებლობა იმ პირობებში, რომელშიც ის მასწავლებლობს და იმ ცოდნით, რომლითაც ის აღჭურვილია, მაგრამ რა ქნას, ისიც მახინჯია, განგებ შეუქმნიათ აგრე მახინჯი, რომ სხვებიც დაამახინჯოს.

ბავშები კერას ასეთუისე მოცილებულია 3-4 წელს, მოცილებულია კავს, პირუტყვს, თოხს და ყოველს იმას, რითაც ცხოვრობს და სულდგმულობს ჩვენი გლეხი; დედა ენას, ვიმეორებ, არ ასწავლიან, რუსულს იმდენს არ ასწავლიან, რომ გამოიყენოს ცხოვრებაში და ის ცოტაც, რაც უხეიროთ, მოუხეშავათ ჩაერჭობა თავში, მალე მიეცემა მივიწყებას და რა უნდა მოუტანოს ასეთმა სწავლამ ბავშებს, თუ არა დაჩლუნგება იმ ბუნებით მინიჭებული ნიჭისაც, რომელიც მას დაბადებიდან თან დაყოლია? ამისთანა შკოლა არა თუ სარგებლობას მოუტანს, პირიქით, დიდათ მავნებელიცაა. ბავში გადაეჩვევა მუშაობას, დედა-ენაზე უმეცარია და რომ იტყვიან „არც ჩვენია, არც თქვენია ჯანდაბას წასასვლელიაო“—სწორეთ ასეთი გამოდის, ურგები, როგორც შინაურებისთვის, ისე საზოგადოებისთვის და, თუ გნებავთ, თვით სახელმწიფოსთვისაც მავნე ბარგია.

რაც უფრო ფიქრს მივეცი თავი და გავითვალისწინე სინამდვილე, საშიშარი სურათები გადამეშალა ჩვენი მომავალის, თუ ასე გაგძელდა „მუშაობა“ „ჩვენი მუშაკებისა“ ამ ჩვენს მობიბინე ჯეჯილში, რას უნდა მოელოდეს ადამიანი ამისთანა გზადაბნეული ხალხისგან, როგორიც უნდა გამოვიდენ ამ ვითომდა სასწავლებლებიდან? დედა ენის არ მცოდნე, ვოველისფერს თავისიანს გადაჩვეული და სხვისის არ მცოდნე, იგივე უპასპორტო მაწანწალაა, რომელთაც რუსება ნათლავენ—Иванами не помнящими родств. ვეკითხებოდი ჩემს თავს, ნუთუ ისე დახშულია გონება ჩვენი პედაგოგებისა, რომ აქ, ამ შემთხვევაში მათ უნდა ებადებოდეს ორი აზრი: —რომ დედა ენა უნდა შეადგენდეს ქვაკუთხედს ყოველი პედაგოგიური მოსაზრებისას, ცხადი და მარტივი ჭეშმარიტებაა... რა არის სადაო! რომ მუნჯურ მეთოდს მეტყველი სჯობს, ამის შესახებ ლაპარაკიც სასირცხოთ უნდა მიაჩნდეთ...

შკოლის შენობა წარმოადგენდა ხის ორსართულიან სახლს, ყავრით შეტკეჩილს და ტალახით შელესილს. ერთ თვალში მოთავსებული იყო კლასი, მეორე კი, ერთობ პატარა ოთახი შეადგენდა მასწავლებლის სადგომ ბინას. აქ, ამ პატარა ოთახში იდგა ერთი პატარა ტახტი—საწოლი, ორი დგამი და ერთიც პატარა ხის მაგიდა. ამით თავდებოდა მთელი მოწყობილობა ამ ოთახისა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმ თიხის ჩაფს, რომელიც ამშვენებდა ერთ კუთხეს ამ ოთახისას და იმ ქაღალდებს, რომელიც არეული ეყარა მეორე

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

— ვალონში ჟანდარმერიამ მეამბოხენი დაამარცხა.

— საბერძნეთი ფლოტს აძლიერებს.

— ლისაბონში რკინის გზის მოსამსახურეთა გაფიცვა შეწყდა.

— ლონდონში ბინებზე ფასის აწევას გამო მდგმურები გაიფიცენ და სახლის ქირას არ იხდიან.

— ვენაში ხმა გავრცელდა ბერხტოლდი სამსახურიდან გადისო.

— ბეტმან გოლვეგი კანცლერობას თავს ანებებს. [illegible] მთავარმართებლად ინიშნება.

— ლონდონში — [illegible] მიტინგზე ერთმა ქალმა განაცხადა: მეფე გიორგის დეპუტაცია მივუგზავნეთ და ვსთხოვეთ საარჩევნო უფლების მონიჭებაო.

— იაპონიაში საკურმისის კუნძულზე ცეცხლის მფრქვეველ მა ხელახლავ ამოხეთქა და ზარალი 4 მილიონამდია.

მოიწვია მუშათა გაფიცვებმა; 375 ათას მანეთს დაემატოს ამშენებლის სასარგებლოთ 59,832 მან. 29 კაპ. რომელიც დაუხარჯავს დამატებულ მოწყობილებაში, რადგან ამშენებელი საზოგადოება მოკლებულია წარმოების დაწყების საშვალებას; წესდების შემუშავებამდის ეძლიოს მას 9% სარგებელი, სანამ ელევატორი ამუშავდებოდეს, მაშინ კი ქალაქმა გადაუხადოს თავნიც და სარგებელიც; 1905 წლის 25 აპრილის პირობა გაუქმებულია, ვინაიდან ელევატორი მზათაა. თუ ელევატორები ქალაქის წარმოებაში გადავიდა, ხელახალი შემოწმება უნდა მოხდეს დი თუ არ ივარგა, პირველი პირობის თანახმად, ვალდებულია გადააკეთოს თავისი ხარჯით და შემოწმებიდან გადაკეთების გათავებამდის სარგებელი არ ეძლევა მას. ეს წინადადება ბ. ნიკოლაძის რჩევით მიიღო ჩვენმა „კი ბატონო“ საბჭომ 1908 წ. 12 თებერვალს. მიგრამ ამნაირმა პირობის შეცვლამ ვერ დაკმაყოფილა ამშენებლები. ის ნათლად ხედვიდა, რომ ამ დარჩენილ პირობებსაც ვერ შეასრულებს მისი გაშენებული ელევატორი, საჭირო იყო მეტი ცვლილება და ესეც ადვილი იყო, რადგან კარგათ იცოდა, თუ ნიკოლაძეს დაითანხმებდა, მეტი დაბრკოლება არ იქნებოდა. ორ წელს შემდეგ წარუდგინეს საბჭოს ახალი წინადადება: მოახდინეთ ელევატორის გამოცდა და თუ აღმოჩნდეს პირობის შესაფერი, მიიღოს ქალაქმა და ფულის ვალდებულების ქაღალდი მიეცეს ამშენებელსო. ამ დროს ცოტა „პრეტენზია“ განაცხადა ახლანდელმა „მოღვაწემ“, ჭოჭუამ: როგორ შეიძლება ამისთანა დიდი საქმის ასე იოლათ გადაჭრაო. აქ საჭირო შეიქნა ფანდი. საკითხი გადადვეს რამდენიმე დღით და...

ხელახალ სხდომაზე ბ. ჭოჭუამ სულ სხვა საგალობელი სთქვა, ბანი მისცა მთელმა საბჭომ და ღაღადყვეს: გამოვცვალოთ ელევატორიო. აამუშავეს ელევატორი პატარა გემი „იდას“ დასატვირთავად. სამი დღის განმავლობაში 6, 7 და 8 ნოემბერს 1910 წელს დაიტვირთა გემზე 2350 ტონამდი (146 ათას ფუთამდი) მარგანეცი, მაშინ როცა სამი დღის განმავლობაში პირობის ძალით ელევატორმა უნდა დატვირთოს არა ნაკლები 6,000 ტონისა. 9 ნოემბერს 1910 წელს შეადგინეს აკტი, რომლითაც დაადასტურეს, რომ ელევატორი არამც თუ აკმაყოფილებს პირობას, კიდევაც აჭარბებს მის მოთხოვნასო, მიუხედავათ იმისა, რომ ელევატორი დასრულებული არ არისო (1908 წ. დადგენილებაში კი ნათქვამია ელევატორი მზათ არისო). მაგრამ ნათქვამია: ზოგი ჭირი მარგებელიაო. როდესაც გამგეობამ საბჭოს მინდობილობით ნებართვა ითხოვა 400 ათასი მანეთის სესხის, დამატებითი ხარჯების გასაწევათ ამავე ელევატორზე, სამინისტრომ ნება დართო მარტო 66 ათას მანეთიან ხარჯზე და ისიც იმ პირობით, რომ წინდაწინ შემოწმებული იქნას ელევატორი საგანგებოთ გამოგზავნილი სამინისტროს მოხელის, ჰოკრიშევსკის, კომისიის მიერ, რომელმა კომისიამაც 1913 წლის ნოემბერში მოახდინა შემოწმება, შეადგინა აკტი, რომელშიც ელევატორი ვერ იცნო საიმედოთ და ამ შემოწმების აკტის პირი გამგეობას გადასცეს. გამგეობა კი უარყოფს ამ აკტის პირის მის ხელში არსებობას და ამბობს: გამოცდის შედეგი ბრწყინვალე აღმოჩნდაო. ამ დროს ელევატორის გამოსაყიდი ფასი გაიზარდა—თავნი, სარგებელი და სხვა 700 ათას მანეთს აღემატება.

1913 წლის დეკემბერში „გელზენკირხენის“ საქციონერო საზოგადოების ვექილს ბ. პერსენაკს შემოუტანია თხოვნა: მიეცით ჩემს მარწმუნებელს უფლება საკუთარი ელევატორი გაიშენოს ფოთის ნავსადგურში უვადოთ, საკუთარი მარგანეცის გასაზიდავათ, რომელიც 12 მილიონ ფუთს აღწევს წელიწადშო. რა

მუდამ სადღეისო.

ამ რამდენიმე თვის წინათ, როდესაც გაზეთებში სწერდენ ჩვენი შკოლების შესახებ და განსაკუთრებით კი კითხვა ეხებოდა იმას, თუ რა გაჭირვებას განიცდის ჩვენი მოზარდი თაობა ამ შკოლებში, გამახსენდა ახლო წასულიდან ჩემი შთაბეჭდილებანი, რომელთა გაზიარება მკითხველთან არ იქნება ჩემის აზრით უადგილო.

ადრე სამსახურის მოვალეობას ხშირათ გავყავდი სოფლად ამ „ბუნების წიაღზე“, სადაც ჩემი, გულუბრყვილო ადამიანის, წარმოდგენით „თხა და მგელი ერთად ბალახობდენ“, ყველაფერი ბუნებრივათ ხდებოდა და მიმდინარეობდა; სადაც ჯერ კიდევ არ შესულა ადამიანის შემმუსვრელი ხელი, რომლითაც შელახულია ასე თუ ისე ქალაქში ჩვენი ცხოვრება. ამ ტკბილი იდილიური წარმოდგენით დამტკბარი, სიამოვნებით მივდიოდი სოფლად, სადაც ჩემი სამსახურის მოვალეობის შესრულებასთან ერთად ვცდილობდი გავსცნობოდი სოფელს მისი ჭირითა და ვარამით. რასაკვირველია, სხვათაშორის, ჩემი უმთავრესი ყურადღება იყო მიქცეული იმ ჭირ-ვარამზე, რომელშიც ჩვენი პატარა ლილიპუტები—სოფლის ბავშებია და, რომელთაც განაგებენ „ხალხის განმანათლებელნი“, სამინისტროს წარმომადგენელნი. იმ დროს ქუთაისის გუბერნიაში ბატონ-პატრონობდა ცნობილი სახალხო შკოლების დირექტორი ლევიცკი, მის მიერ შემოღებული ჩვენს მხარეში მეტათ გაბოროტებული მუნჯური მეთოდით. გაგონილი ბევრი რამ მქონდა ამ მეთოდის შესახებ, მაგრამ ცხადათ არ მქონდა ნანახი და გაგებული, რაც იყო მისი სიდუხჭირე და, მართალი მოგახსენოთ, პირველათ, როდესაც მოულოდნელათ წავებორკე ამ მუნჯურ გაკვეთილს, მოუმზადებელი ადამიანი, მეგონა—სიზმარში ვიყავი. ამ გარემოებას, ცოტათ თუ ბევრათ, პიროებებიც ხელს უწყობდა. წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა:

ხანგრძლივი მგზავრობით დაღლილი ბორაპნის მაზრაში ერთი სოფლის კანცელარიიდან მეორე სოფლის საზოგადოების კანცელიარიაში უნდა გადასულვიყავი, გადამელახა ჯაგლაგა სოფლის ცხენით ოღრო-ჩოღრო გზები, დიდი სერი. მივდიოდი და თან ვნუგეშობდი, რომ მგზავრობითა და უძილობით დაქანცული ერთ კანცელარიაში დავისვენებდი. მართლაც, როდესაც სერზე შემდგარმა დავინახე ორი ხის სახლი, ჩემი მხლებლის ახსნით—ერთი სოფლის სამართველო და მეორე კი სამინისტრო-განმანათლებელი „კერა“, ჩემს აღტაცებას არ ქონდა საზღვარი. ეს ადგილი სოფლის საზოგადოებას, როგორც შემდეგ ამიხსნეს, შუა ადგილათ აურჩევია და, როგორც ასეთი ზე აუშენებიათ ორი პატარა ხის სახლი იმ ორი დაწესებულებისათვის. ეს ადგილი წარმოადგენს საკმაოთ მაღალ სერს, რომელსაც ორივ მხრით სოფლები ახლავს არა უახლოვეს სამი ვერსისა. აქ არავინ ცხოვრობს გარდა მასწავლებლისა და სოფლის სამართველოს მსახურისა, ძალიან ძვირათ, გზათ თუ ვინმე გაივლის, ან შაბათობით თუ მოვლენ მომჩივან-მოპასუხე სასოფლოსამსჯულოში თავისი საქმის გარჩევაზე დასასწრებლათ. ბავშები კი, ეს პატარა დევ-გმირები, უმეტესათ თავ-ფეხშიშველნი, მოდიან შკოლაში 3—7 ვერსის მანძილიდან და ეწაფებიან „სიბრძნეს“ ჩვენგან,—განათლებულთ ხალგისაგან მიწოდებულს.

მიდედი თუ არა, ბავშები შემომხვდენ და ცნობისმოყვარეობით დამიწყეს ცქერა, შემდეგ მასწავლებელიც მოვიდა და ჩემ ნაცნობ ადამიანს ეს ენა ამ მთაში არ ესმის. მისმა მასწავლებელმაც კი საყველ-პურო რუსული თუ იცის. მისთვისაც, ე. ი. მასწავლებლისათვისაც წამებაა მასწავლებლობა იმ პირობებში, რომელშიც ის მასწავლებლობს და იმ ცოდნით, რომლითაც ის აღჭურვილია, მაგრამ რა ქნას, ისიც მახინჯია, განგებ შეუქმნიათ აგრე მახინჯი, რომ სხვებიც დაამახინჯოს.

ბავშები კერას ასეთუისე მოცილებულია 3-4 წელს, მოცილებულია კავს, პირუტყვს, თოხს და ყოველს იმას, რითაც ცხოვრობს და სულდგმულობს ჩვენი გლეხი; დედა ენას, ვიმეორებ, არ ასწავლიან, რუსულს იმდენს არ ასწავლიან, რომ გამოიყენოს ცხოვრებაში და ის ცოტაც, რაც უხეიროთ, მოუხეშავათ ჩაერჭობა თავში, მალე მიეცემა მივიწყებას და რა უნდა მოუტანოს ასეთმა სწავლამ ბავშებს, თუ არა დაჩლუნგება იმ ბუნებით მინიჭებული ნიჭისაც, რომელიც მას დაბადებიდან თან დაყოლია? ამისთანა შკოლა არა თუ სარგებლობას მოუტანს, პირიქით, დიდათ მავნებელიცაა. ბავში გადაეჩვევა მუშაობას, დედა-ენაზე უმეცარია და რომ იტყვიან „არც ჩვენია, არც თქვენია ჯანდაბას წასასვლელიაო“—სწორეთ ასეთი გამოდის, ურგები, როგორც შინაურებისთვის, ისე საზოგადოებისთვის და, თუ გნებავთ, თვით სახელმწიფოსთვისაც მავნე ბარგია.

რაც უფრო ფიქრს მივეცი თავი და გავითვალისწინე სინამდვილე, საშიშარი სურათები გადამეშალა ჩვენი მომავალის, თუ ასე გაგძელდა „მუშაობა“ „ჩვენი მუშაკებისა“ ამ ჩვენს მობიბინე ჯეჯილში, რას უნდა მოელოდეს ადამიანი ამისთანა გზადაბნეული ხალხისგან, როგორიც უნდა გამოვიდენ ამ ვითომდა სასწავლებლებიდან? დედა ენის არ მცოდნე, ვოველისფერს თავისიანს გადაჩვეული და სხვისის არ მცოდნე, იგივე უპასპორტო მაწანწალაა, რომელთაც რუსება ნათლავენ—Иванами не помнящими родств. ვეკითხებოდი ჩემს თავს, ნუთუ ისე დახშულია გონება ჩვენი პედაგოგებისა, რომ აქ, ამ შემთხვევაში მათ უნდა ებადებოდეს ორი აზრი: —რომ დედა ენა უნდა შეადგენდეს ქვაკუთხედს ყოველი პედაგოგიური მოსაზრებისას, ცხადი და მარტივი ჭეშმარიტებაა... რა არის სადაო! რომ მუნჯურ მეთოდს მეტყველი სჯობს, ამის შესახებ ლაპარაკიც სასირცხოთ უნდა მიაჩნდეთ...

შკოლის შენობა წარმოადგენდა ხის ორსართულიან სახლს, ყავრით შეტკეჩილს და ტალახით შელესილს. ერთ თვალში მოთავსებული იყო კლასი, მეორე კი, ერთობ პატარა ოთახი შეადგენდა მასწავლებლის სადგომ ბინას. აქ, ამ პატარა ოთახში იდგა ერთი პატარა ტახტი—საწოლი, ორი დგამი და ერთიც პატარა ხის მაგიდა. ამით თავდებოდა მთელი მოწყობილობა ამ ოთახისა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმ თიხის ჩაფს, რომელიც ამშვენებდა ერთ კუთხეს ამ ოთახისას და იმ ქაღალდებს, რომელიც არეული ეყარა მეორე

პირობით ან რამდენი ხნით მიეცეს უფლება ამაზე განცხადებაში არაფერი სწერია. იქ არც ის არის ნათქვამი, რა გარანტია ეძლევა ქალაქს, რომ სხვისი საქონელი არ დაიტვირთოს ამ ელევატორით და სხვა... ამ საგანზე იყო კამათი საბჭოში. გამგეობამ ის აზრი გამოსთქვა, რომ ახლავე უნდა მიეცეს უფლება ხსენებულს საზოგადოებას გააშენოს ელევატორიო, მით უმეტეს ასე სურს ბ. ნიკოლაძესო, წინააღმდეგ შემთხვევაში „გელზენკირხენის“ საზოგადოება ბათომში გადაიტანს თავის საქონელს და ჩვენ საფუთო გადასახადს დავკარგავთ 12 მილიონზე მეტს მარგანეცზეო. ოპოზიციის წარმომადგენლები კი ამბობდენ: ჯერ უნდა გამოვარკვიოთ ჩვენი ელევატორების მდგომარეობა, რომელიც აგერ 700 ათას მანეთზე მეტი გვიჯდება, უნდა გავიგოთ, ივარგებს თუ არა ჩვენი ელევატორები. თუ არ ივარგებს, შეიძლება მათი გადაკეთება თუ არა, ისე რომ ივარგოს, თუ არც გადაკეთება შეიძლება და ეს ელევატორები საზარალოა, შეიძლება თუ არა სხვა გავაშენოთ ტეხნიკის უკანასკნელს გემოზე, რომლისთვისაც ხაზინაში ნახევარ მილიონ მანეთზე მეტი ფული არის დაგროვილი. ოპოზიციის აზრით ელევატორი უეჭველათ ქალაქმა უნდა გააკეთოს, რადგან ეს მისთვისაც მოსაგები იქნება და ექსპორტიორებისთვისაც საჭირველი, ვინაიდან ის, როგორც მარგანეცის ვაჭრობაში დაუინტერესებელი დაწესებულება, ყველა ექსპორტიორისთვის ერთნაირ პირობებს შექმნისო. ჯერ ყველა ეს პირობა გაირკვიოს საბჭომ და შემდეგ განიხილოს „გელზენკირხენის“ საზოგადოების განცხადება, და მისცეს მას უფლება ელევატორის გაშენებისა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს კერძო ელევატორი, არც ქალაქის ელევატორების მუშაობას შეაფერხებენ და არც სხვა ექსპორტიორებს დააბრკოლებენო. მანამდი კი ეს საკითხი 17 ხმით წინააღმდეგ 13 ღიათ დატოვეს— ე. ი. ამ განცხადების განხილვის საკითხი ღიათ დარჩა საგუთარი ელევატორების ბედიღბლის გამორკვევამდი. ამასთანავე ოპოზიციამ საბჭოში წინადადება შეიტანა არჩეულ იქნას საგანგებო კომისია, რომელსაც დაევალოს ქალაქის ელევატორების მდგომარეობის გამორკვევა. ეს წინადადებაც ჭოჭუას წყალობით ჯერ ღიათ არის დატოვებული. ამით გაჯავრებულმა ნიკოლაძემ დაიბარა თავისი მორჩილი ხმოსნები და დააკისრა გასწიონ ხალხში აგიტაცია, რომ ოპოზიციონერი ხმოსნები ხელს მიშლიან, არ მეთანხმებიან არაფერში და იძულებული ვარ, თოთიდან წავიდეო. მეორე დღესვე გამოვიდენ ქუჩებში ცნობილი პირები ჯოხებით და ასტეხეს ჩოჩქოლი ოპოზიციონერი ხმოსნების წინააღმდეგ. ისინი გაყვირიან: როგორ ბედავენ ხმოსნები მსჯელობა იქონიონ იმ აზრის შესახებ, რომელსაც ნიკოლაძე ემხრობაო. ნიკოლაძეს სურს „გელზენკირხენის“ საზოგადოების დაკმაყოფილება თქვენ კი წინააღმდეგ მიდიხართ. თქვენ იმ პირობით აგიარჩიეთ, რომ ნიკოლაძემ რაც ისურეოს, ხელი მოუწერეთ, დაუდასტურეთ და არა იმსჯელოთო. თუ ასე არ მოიქცევით, თავი გაანებეთ ხმოსნობასო.

აი, სადამდი ჩამოქვეითდა ფოთის ოლრდმერი, აი, რა ზომებს მიმართა, როცა გაუჭირდა ზემო ხსენებულ პირთ რა გაემტყუნება, მათ არ იციან საქმის ვითარება დაწვრილებით და, რაც ჩასძახეს, იმასვე იმეორებენ. გასაკიცხი და გასამტყუნარი ის არის, ვინც ამისთანა იარაღს ხმარობს სხვისი სინიდისის ფეხქვეშ გასათელად.. მაგრამ შორს არ არის ის დრო, როცა ხსენებული იარაღი გათასკეცებული სიმძლავრით მისკენ მიბრუნდება, ვინც მას დღეს სხვის წინააღმდეგ იქნევს. მაშინ კი ძნელი იქნება პასუხის გება.

ძველი მოგეთე.

კვლავ ერთი სატკივარიც

სოფლის მასწავლებლებისა.

ერთმა სოფლის მასწავლებლეთაგანმა შემომჩივლა, რომ მის შვილს მოსთხოვეს 1914 წლის პირველი ნახევრის სასწავლო ფული 40 მანეთი (სწავლობს ქუთაისის რეალურ სასწავლებელში) მისთვის, რომ მან მიიღო გერმანულ ენაში ნიშანი 2. ეს მოვლენა გასაკვირველია და ყურადღების მისაქცევი ვისგანაც ჯერ არს: მასწავლებლის შვილები უმაღლესი კანონის ძალით სასწავლო ფულის გადახდისაგან თავისუფალი არიან საშვალო სასწავლებლებში. ალბათ ამ შემთხვევაში სასწავლებლის საბჭომ იხელმძღვანელა სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ცირკულიარით (1913 წ. 19 აპრილი № 8754), რომელიც სხვათა შორის, ავალებს კავკასიის სამოსწავლო ოლქის საშვალო სასწავლებლის პედაგოგიურ საბჭოებს, რომ, სწავლის ფულისგან ღარიბი მოწაფების გათავისუფლების დროს, მხედველობაში იქონიონ არა მარტო კარგი

კუთხეში. ჩემმა მასპინძელმა ალექსიმ ჩემი ცნობისმოყვარეობა თავის ოთახის ამ ორი კუთხის შესახებ სიამოვნებით დააკმაყოფილა. ეს თიხის ჩაფი თავისი შინაარსით, რომელიც შესდგებოდა რქაწითლის ან ცოლიკაურის წვნისგან, ყოფილა სულის ჩამდგმელი ჩემი ალექსისთვის, დროსა მას ჭმუნვისასა, ეაძსა მას მარტოობისასა; ეს ჩაფი შეადგენდა მისთვის დიდ განძს, მ.სი ფანტაზიისთვის მოელვარე მერანს, რომელსაც გადაყავდა სულ სხვა ფიქრთა სფეროში, იმ წიალში, სადაც არ სუფევს არც ფიქრი და არცა გრძნობა, ე. ი. ამ ჩაფის მეოხებით ეძლეოდა სრულს დავიწყებას. მეორე კუთხე ოთახისა კი წარმოადგენდა უთავბოლოთ არეულ დაყრილ ქაღალდებს, აქ იყო მოწერილობა-ცირკულიარები დირექციიდან, ან სახელმძღვანელო წიგნები, რვეულები და სხვა.

ბოდიში მოვითხოვე ალექსის წინაშე, ვუთხარი, რომ დაღლილი ვარ, ცოტას მივწვები და შე დეგ უფრო სულდათქმულად ვილაპარაკოთ-თქო. ალექსი ბავშებთან შევიდა კლასში, მე კი მივწექი მის ლოგინზე და მალე წამთვლიმა.

დიდხანს ვიძინებდი, რომ რაღაც უცნაურ ხმაურობას არ გამოველვიძებივ. მესმოდა მთელი კლასის ღრიალი, პირველათ ვერ გამოვარკვიე, მაგრამ, როდესაც საერთო ღრიალს ბოლო მოეღო, გაისმა მასწავლებლის დაქანცული ხმა: это красный карандашъ, это красный карандашъ, это красный карандашъ... რომ არ შევცოდო, ეს სამი სიტყვა ოცჯერ მაინც გაიმეორა მასწავლებელმა. შემდეგ ბავშებმაც შექნეს ღრიალი, მასწავლებლის ხმა კვლავ განმარტოებით მომესმა: это черный карандашъ, это черный карадашъ... ეს სიტყვებიც გაიმეორა იმდენჯერვე და ისე

ყოფაქცევა მისაღები ბავშისა, არამედ იხელმძღვანელონ იმითაც, რომ ასეთ ბავშს საგნებშიც კარგი ნიშნები ქონდეს არა ნაკლები სამისა.

ამ განკარგულებაში არ არის ნათლად ნათქვამი, თუ მასწავლებლების შვილების სწავლის ფულისაგან გათავისუფლების დროსაც უნდა იხელმძღვანელონ საბჭოებმა ხსენებული ცირკულიარით

და უკეთუ ეს დადასტურდა, მაშინ სხვა უბედურებასთან სოფლის მასწავლებელს ეს ერთი „ბედნიერებაც“ მიემატება. ისედაც უსახსრო მასწავლებელს მიწასთან გაასწორებს. ისიც ეყოფა მასწავლებელს საკვნესებლათ, რომ მისი შვილი რომელიმე საგანში ცუდ ნიშანს მიიღებს და იგი უნდა მიაბაროს ვისმე მოსამზადებლათ და მისცეს თავისი 2-3 თვის ჯამაგირი თითონ კი ოჯახით იშიმშილოს.

ეს საქმე უნდა გაარკვიონ სოფლის მასწავლებლებმა და გაიგონ ბ. მზრუნველის განკარგულება ეხება თუ არა მათი შვილებსა და საერთოდ მათს ბედიღბალსაც.

ნიკორტელა.

აქიქაური.

გუშინწინ ერთმა ჩემმა ახლო ნაცნობმა ახალ ამბავთ გადმომცა:

გასულ კვირას საკრებულო ტაძარში წირვის მოსმენამ დამატკბოო:—საუცხოოთ და მწყობრათ გალობდენ ქართულად წირვის წესსაო. მამა რაჟდეს

გაამეორებია კლასსაც... ავიკრიფე ფეხი, მივედი კარებთან, ცოტა მოვაღე, რომ დამენახა, რა ხდებოდა იქ. მასწავლებელმა აიღო ხელში წითელი კარანდაში და რომ გაეგო, რა ცოდნა შესძინა თავის მოწაფეებს, შეკითხა კლასს: это что?-ო, ბავშებმა მიაძახეს: это черный карандашъ—ო, ე. ი. მასწავლებელმა ვერ მიაღწია მიზანს, ბავშებმა თუთიყუშებივით მიაძახეს ის სიტყვები, რომელიც მანდუკანისკნელათ გაამეორებია (это черный карандашъ). არ მომითმინა გულმა და შევედი კლასში, სადაც ეს სულთახუთვა იყო.—„რა ამბავია, ალექსი, რისთვის იტანჯვი და აწამებ ამ საცოდავ ბაშებს? არა სჯობს პირდაპირ ეთხრა, რომ красный карандашъ ქართულად წითელი კარანდაშია და черный карандашъ—შავი კარანდაშია? ბავშებიც შეიგნებენ ბუნებრივათ და არც შენ დაიტანჯები აგრე, რასა გავს ეს! ეს გაკვეთილი კი არა წამებაა, როგორც მასწავლებლისათვის, ისე ბავშებისათვის. ნორჩი ტვინი დაიჩლუნგება, სწავლა ბავშს შეძულდება.“ ალექსი შემომაცქერდა გაკვირვებით, თითქოს ეუცხოვა ჩემისთანა უმეცარს რომ შეხვდა, გამოვიდა კლასიდან ხმა ამოუღებლივ, მიაშურა იმ კუთხეს, სადაც პედაგოგიური სიბრძნე, სახალხო დირექციის ცირკულიარები ეყარა, გამოიღო იმათგან ერთი ტომაწოდა, გადახედეო. დირექცია უბრძანებდა მასწავლებელს, რომ გაკვეთილზე დედაენის საშვალებით არ ესარგებლა, გაუგებარი რუსული სიტყვა და აზრი რუსულათვე უნდა აეხსნა ამ ნაწყესური ბავშებისთვის. ჩემი ალექსი მომომაცქერდა და ნიშნის მოგებით თითქოს მეუბნებოდა, ხომ ხედავ ამ პედაგოგიურ სიბრძნეს, რომელსაც ადასტურებს თავის ხელის მოწერით თვით პედაგოგთა—პედაგოგი ლევიცკიო, მივხვდი,

---

ვთხოვ—წინდაწინ გვაცნობოს, როდის იგალობებენ კვლავ და გაზეთში გამოვაცხადთთ. დარწმუნებული ვარ, ბევრს მიიზიდავს და სასოებას მოგვრის გუნდის ტკბილი გალობაო....

გავრინდდი, მწარეთ გავიღიმე...

ქუთაისში, ქართულ ქუთაისში გაზეთში გამოსაცხადებლათ გვიხდება, რომ ადგილობრივ საკრებულო ტაძარში, საცა ქართველნი მწირველნი არიან, ამ და ამი დღეს ქართულად იგალობებენო.

დ.

შიმშილობის შესახებ.

სატახტო ქალაქის გაზეთ „რეჩის“ 3 იანვრის ნუმერში დაბეჭდილია დ. ჟბანკოვის წერილი შიმშილობის შესახებ. ჟბანკოვი ეხება რუსეთის ექვს გუბერნიაში შიმშილობას და აღნიშნავს შიმშილობის გამო ამ გუბერნიებში სხვადასხვა სენის გავრცელებას. ბოლოს ავტორი ჩვენს ქვეყანაში შიმშილობის შესახებ სწერს: პურისა და თივის მოუსავლობისაგან ნამეტურ დაზარალდა ქუთაისის გუბერნია, ყარსის ოლქი, ერივანის გუბერნიის ნაწილი და ნაწილი ბაქოს და თფილისის გუბერნიისა, დაზარალდა აგრეთვე ახალქალაქის მაზრა და ბათომის ოლქი. მოსავალი ისე მცირე იყო, რომ სიმიდი 100—120 ფუთის ნაცვლად დესეტინა მიწაზე მოვიდა მხოლოდ 10 ფუთიო. თივის ფასმა ძალიან აიწია; წირნათ თუ ფუთი თივა 5 შაურათ იყიდებოდა ახლა 4 აბაზათ, მანეთად იყიდება. ბაქოს გუბერნიაში დასათესი მარცვლის უქონლობის გამო ყანები არ დაუთესიათ. ფრინველები და შინაური საქონელი გაიაფდა. თფილისში გასაყიდათ ბევრი შინაური საქონელი მორეკეს. მცხოვრებლები შიმშილობისა და უმუშევრობის გამო თურქისტანსა, სპარსეთსა და ამერიკაში გარბიან. თფილისში სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ აღიარა, რომ სასურსათო დახმარება ძლიერ უმნიშვნელოა. საზოგადოებამ გადასწყიტა საქმელ სურსათზე ტარიფის დაკლება ითხოვოს და შეკრიბოს ცნობები მოუსავლობის შესახებ.

რუსეთი

სახელმწიფო ბანკის მოდვაწეობა. სახელმწიფო ბანკის ვილნოს განყოფილება ფულის შეუტანლობ-ს გამო გლეხთა 1950 დესეტინა მამულს ყიდის. ამ მამულის ფასი 109 ათასი მანეთია.

პეტერბურგის მუშები. პეტერბურგის მუშები ბევრს მსჯელობენ პრესის საქმეთა მთავრობის კანონპროეკტის შესახებ. მუშებმა გადასწყვიტეს მოაწყონ ამ საგნის შესახებ მოხსენების კითხვა, უნდა წაკითხულ იქნას მოხსენებები დასავლეთ ევროპაში პრესის მდგომარეობის შესახებ. მუშები მთავრობის კანონპროეკტის გამო პროტეტს აცხადებენ. თხოულობენ—პრესა რუსეთში თავისუფალი უნდა იყოსო.

მუშათა ბინები. ფინანსის მინისტრმა პეტერბურგში მუშათა ბინის საჭიროებისათვის გადასდვა 200 ათასი მანეთი. ეს ფული იმ თანხას უნდა მიემატოს, რომელსაც მიზნათ აქვს მუშათა სახლების აშენება.

უცხოეთი

დეპუტათა პალატის დათხოვა. ბულგარეთში დეპუტატთა პალატის დათხოვამ ძალიან ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა. ხალხი უკმაყოფილოა მთავრობისა და სასახლის წრისა. ოპოზიციონერი წრეები იმუქრებიან. სოციალისტები და მემამულეები მთავრობასთან და ფერდინანდთან საბრძოლველათ ემზადებიან. სოციალისტებმა ფერდინანდის წინააღმდეგ ცხარე სიტყვები წარმოსთქვეს.

გაფიცვა. სამხრეთ აფრიკაში გაფიცულ მუშებსა და პოლიციელებს შეტაკება მოუვიდათ. მუშათა კავშირის ბინაზე შეკრებილ სამას მუშას მოსთხოვა გენერალმა ბოტმა დამნებდითო. მათს ბინას ალყა შემოარტყა და სროლის ატეხით დაეუქრა. მუშები დანებდენ და ყველა დაპატიმრეს. პოლიციას სხვა კიდევ ასამდი მუშათა ბელადი დაპატიმრა. ოფიციალური ცნობაა გაფიცვა თითქმის სულ მოისპოვო. ბოტის მოქმედებას ინგლისში ცხარეთ კიცხვენ. ინგლისის კაპიტალისტებსაც არ მოსწონთ მის მიერ მიღებული ზომები: გაფიცვებს კი არ აქრობს პირიქით აძლიერებსო.

დაბა-სოფელი.

დ. ზუგდიდი (ოდიში). მას შემდეგ, რაც დეკან. მამა შენგელაიამ გაიმარჯვა და აკაურმა სასწავლებელი ... თი საუკეთესო მასწავლებელ ... ლი და ბეჯითი ... მოწაფე ბავშები სასოწარკვეთილებაში ჩავარდენ. რაც სულიერმა მამამ და ხალხის მოძღვარმა იკადრა და მოიმოქმედა ამ საქმეში, იმას არ ეზამდა თვით ხალხის დაუძინებელი მტერიც კი. ამ უკულმართ დროში სანთლით საძებარია, სამწუხაროთ, ჩვენს სახალხო მასწავლებელთა შორის, ისეთი ერთგული და სწორი პედაგოგი, როგორიც ბ. ბუკია: ბავშებს მან შეაყვარა მშობლიური ენა, მამობრივი მზრუნველობით ეკიდებოდა მათ, ყველას უყვარდა და დღეს ტირილით შემოგჩივლებენ, რომ ასე უსამართლოდ, უდანაშაულოთ დაკარგეს ამისთანა მასწავლებელი. რა ზნეობრივი გავლენა და სიკეთის დათესვა შეუძლია ხალხში მისთანა სულიერ მამას, რომელიც ამისთანა სიკეთეს აკლებს მოზარდ თაობასო? თავი მითი უნდა ვინუგეშოთ, რომ მამა შენგელაიასა და ბუკიას შორის რაც საზღვარია, საზოგადოება ხედავს კარგად და ორივეს ღირსეულათ აფასებს, მაგრამ საცოდავ ბავშებს რა დანაშაული მიუძღოდათ და სანამდი უნდა იყოს მოწაფეთა ბედ-იღბალი ასე დაჩაგრული და სანამდი უნდა გაქონდეთ ლელო ორგულებსა და ავსულებს?! **მოწაფე.**

— —

სოფ. რცხილათი (ზემო იმერეთი) არა მგონია, რომელიმე სოფელი იყოს ისე მივიწყებული და მიყრუებული, როგორც სოფ. რცხილათია. როგორც მოხუცებულებისაგან გამიგონია, ძველათ უდაბნოთ ყოფილა, სადაც ბერები ცხოვრობდენო; მართლაც, ნამდვილი საბერო ადგილია: —აქიდან ვერც ერთ სოფელს ვერ შეხედავ, გარშემო მთა გორებით არის შემოზღუდული. ნიადაგი სოფელში შეტათ მწირეა; მოუსავლობით დასჯილია ყოველ წელიწადს. რაც უნდა კარგი წელიწადი იქნეს, ხუთ-ათ ოჯახს თუ მოუვა საყოფი სარჩო. გასულმა წელიწადმა ხომ სულ უნუგეშოთ დასტოვა საწყალი ხალხი. ერთადერთი საშვალება აქაურებისთვის არის ჭიათურა, რომელიც 15 ვერსის მანძილზეა დაშორებული. მიდიან სამუშაოთ, ყიდულობენ თითოოროლა ფუთ სიმინდს და ზურგით მოაქვთ; ყველას ხარი არა ყავს, და რა ყავდეს კიდეც, საურმე გზები ზამთრობით დაკეტილია. მაგრამ ისეთი ოჯახიცაა რომ მუშა ხელი არა ყავს ჭიათურაში გასაგზავნათ. რა უმწეო მდგომარეობაშია ვინ ასწერს და პატრონი კი არსადაა.

სოფელში არავითარი კულტურული დაწესებულება არაა იყო ოთხი-ხუთი წლის წინათ წერა-კითხვის სამრევლო შკოლა და ხალხმაც სწავლის ხალისი გამოიჩინა, მაგრამ მზრუნველი პატრონი არვინ გაუჩნდა და დაიკეტა.

და როდამდი უნდა დარჩეს ეს სოფელი უშკოლოთ?! ხალხს შეძლება არ აქვს შკოლისთვის შენობა მოიპოვოს, დიდი სიკეთე იქნებოდა—ჭიათურის ქ. შ. წ. კ. გამავრც. საზოგ. განყოფილება ჯეროვან ყურადღებას მიაქცევდეს ამ ღვთის ანაბარათ მიტოვებული ხალხს; თუ კი სადმეა ამ გვარი შკოლა საჭირო და ეს საზოგადოება თავის ქველმოქმედ ხელს აწვდის დაბეჩავებულ ხალხს, პირველად ეს სოფელი უნდა ჩაითვალოს.

გუდუმატკივარი.

ნახიჩევნელი ქართველის შეკითხვის გამო.

(წერილი რედაქციის მიმართ)

ბ. რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშვალებით ვუპასუხო ნახიჩევნელ ქართველს ბ. სამსონ მარჯანიშვილს, რომელიც ეკითხება კანტორა „იმერეთი“-ს გამგეს, თუ რატომ არ დაურიგა ხელის მომწერლებს მისმა აგენტმა ივლიანე გამყრელიძემ აკაკის პოემა „რაჭა-ლეჩხუმი“, რომელზედაც, შემკითხველის თქმით, მას (აგენტს) ათი თითო მანეთიანი ხელის მომწერი ყოლია და ფულიც აუღია („ერი“ № 48).

თქვენ ნაჩქარებ შეკითხვაზე, ბ. სამსონ, შემდეგი უნდა მოგახსენოთ. პოემა „რაჭა ლეჩხუმი“ „იმერეთი“-ს გამოცემა როდია. იგი გამოდის „თემი“-ს 1913 წ. პრემიათ იმავე რედაქციის ხელმძღვანელობით და თუ საქართველოზე შორს მყოფი ჩვენს პრესას თვალ-ყურს ადევ-

სავაჭრო სახლი **ი. გოკიელის** შვილების ქუთაისში.

მიღებულია და იყიდება ძლიერ ზომიერ ფასებში **რუსული კალენდრები** საუკეთესო გამოცემა ოტტო კიხნერისა და სატინის ამხანაგობისა. ქართული კალენდრის და ჯიბის **კალენდრები**

ტყავის პორტფელები (Портфели адвокатскія, документныя и вексельныя). **კალათები ქაღალდის ჩასაყრელი.**

დეპო ლამბუდის, ბურჭლეულობის, ავეჯეულობის და შპალიერის ქ. ქუთაისში **ფ. ს. ფილიპოვისა** **ალექსანდრეს ქუჩაზე**

მოეპოება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილებანი, ყოველნაირი საოჯახო სამკაული: ნავთის სამოვრები, ღუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი „ლინელეუმი“, სამუსიკო ინსტრუმენტები (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი ძვირფასი საოჯახო ნივთი, აღარებელი ასარჩევი ნიმუში, შპალიერის თოფი 2 შაურიდან ვიდრე მანეთინახევრამდი. ფასები ყოველი კონკურენციის გარეშეა. პატივისცემით ფ. ს. ფილიპოვი.

ნებთ კი უნდა გცოდნოდათ, რომ ეს წიგნი ჯერაც არ გამოსულა და მაშ „იმერეთი“-ს აგენტს ივ. გამყრელიძე როგორ უნდა დაერიგებია იგი მანდაური ხელის მოსწერლებისათვის?!

ხსენებული ივ. გამყრელიძე ჩვენი გამომცემლობის „იმერეთი“-ს აგენტი იყო და მას მინდობილი ქონდა ორი ჩვენი გამოცემის: გ. ჭალადიდელის და აკაკის ნაწერების კვიტანციები; ეს კვიტანციები მან, რომ არ მოველოდით, იმდენი გაავრცელა მანდაურ ქართველებში, რისთვისაც მისი მადლიერი უნდა ვიყოთ. ამ ორი გამოცემის ანგარიშიც მისგან სრულად მიღებული მაქვს.

ხოლო პოემა „**რაჭა დეხხუმი**“ როცა გამოვა, იმასაც ან იგივე აგენტი მოგაწვდისთ, ან კიდევ კანტორა „იმერეთი“, რომელმაც დღეს ბ. გამყრელიძის მისამართი არ იცის და კაის იქმთ თუ მანდ მის ნაცნობ-მეგობრებისაგან გაიგებთ და მაცნობებთ ქუთაისში, რათა მას თქვენი საგაზეთო შეკითხვის გამო კერძოთ გავაგებინო, რომ თავდარიგი დაიჭიროს ამ გამოცემის მანდ დარიგების შესახებ...

რაც შეეხება თქვენ მიერ ჩვენს აგენტ გამყრელიძეზე ავანსათ ეჭვის ნაადრევათ შეტანას, ამაზედაც მწიგნობრობის გავრცელებას ჩემი გამოცოცილებიდან უნდა მიგითითოთ წინასწარ ხელის მოწერით გამოც მების სიძნელეზე. ამაზე ბევრჯერ მიმითითებია საქმის უცოდინართათვის როგორც პრესაში, ისე უფრო ამ საკითხზე კერძო სჯა-ბაასში, მაგრამ აგენტების ამ საქმეშიც საყვედურით მაინც ყური გვაქვს გამოჭედილი.

ეს საქმე კი, რადგან მას ხელი მოკიდა მცოდნე და არ მცოდნემ, შემძლე თუ შეუძლომ უარგანიზაციოთ, საქმის პრაკტიკულათ მოუწყობლათ სახელისა ან სახრავის მოლოდინით, მას გამოუცდელი აწარმოებს. ამიტომ საქმის უცოდინარობა, წინასწარ ძნელათ გასათალისწინებელი ტეხნიკურათ დამაბრკოლებელი მიზეზები, და მძიმე საცენზურო კანონები ქმნიან იმ ცუდ პირობებს, რომელშიც ქართველ გამომცელებს მწიგნობრობის საქმის წარმოება უხდებათ.

ესაა მისეზი, რომ ჩვენში წინასწარ ხელის მოწერით გამოსაცემი წიგნები დროზე არ გამოდიან და ხელის მომწერლებს არ ურიგდებათ. საერთოდ ამ საქმის მოწყობაზე კი ჯერ არავინ ზრუნავს და ამიტომ ასე ხშირი, საყვედურები (პრესაშიც კი) აგენტებისადმი, რომ ისინი ამა თუ იმ გამოცემებს ხელის მომწერლებს თავის დროზე არ ურიგებენო, ნაადრევი და უსამართლოა. მათზე ეჭვების მიტანა, საყვედურები და ხშირათ პირადი ლანძღვაც კი მწიგნობრობის პიონერებისა, დანაშაულობათ მიმაჩნია, რადგან გამოცოილებით ვიცი, რომ ამ საქმეში ისინი დროს რომ კარგვენ, იმის საღირალს ნივთიერათ არა იძენენ და უფრო კი იდეიური პიონერები არიან ამ წმინდა კულტურული საქმისა და მას უანგაროთ ემსახურებიან...

თუმცა ამავე დროს იმის ფაკტებიც არის, რომ ამ წმინდა საქმესაც აებანებიან მისთვის შეუფერებელი უვიცი, მატყუარა პირები, რომლებიც გამომცემლებს, რედაქციებს ფულებს უჭამენ, ანგარიშებს არ უსწორებენ და ამ წმინდა საქმეში შემრცხვალნი, სხვა საქმეს კიდებენ ხელს. ამგვარები ხომ ყოველ საქმეს ყავს ატმასნილი და სახელს უფუჭებენ მას..

ამიტომ საჭირო და დრო არის— სოფლად და ქალაქებში მწიგნობრობის, ბეჭედითი სიტყვის რიგიანი მოყვარულები სანთლით მოვებნოთ და მათთან მჭიდრო, იდეიური კავშირი დავიკავოთ რათა ამ საერთო კულურული საქმიანობაში მკვიდრი ნიადაგი შევქმნათ და ამ საქმის იდეიურ პიონერებს მეტის ზდილობიანობით მოვეპყრათ...

ისიდორე კვიცარიძე.

წერილები რედაქციის მიშართ.

ბ. რედაქტორო!

ამასთანავე გიგზვნით იმ წერილობითს საბუთებს, რომელიც 24 და 30 დეკემბერს თფილისიდან ბ. ვას. ურუშაძისგან მივიღე, მისი მეუღლის მარო მდივნის ასულის ჩემს საბენეფისო წარმოდგენაზე მოწვევის შესახებ. ამ საბუთებიდან თქვენ სცნობთ, რამდენათ დაიმედებული უნდა ყოფილვიყავი, რომ ქ-ნი მარო ჩამოვიდოდა და დანარჩენ სამზადისს შევუდექი. ყველაფერი მზათ იყო წარმოდგენისთვის, რო დეპეშიან*) მივიღე თვით მდივნის ასულისაგან: ვამგეობამ წამოსვლის ნება არ დამრთოვ. მაშინვე დეპეშით მივმართე გამგეობის ერთ წევრს და შვამდგომლობა ვსთხოვე, მარო მდივნის ქალი გამოეშვათ... მაგრამ ამ დეპეშზე პასუხიც არ მაღირსეს. წარმოდგენის გადადებაც უხერხული შეიქნა და იძულებული გავხდი. საპასუხო როლი დამეკისრებია სცენის მოყვარე ქალისთვის. ამან წარმოდგენა შეაფერხა, რისთვისაც ვალად ვრაცხ ბოდიში მოვიხადო იმ მრავლად შეგროვილი საზოგადოების წინაშე, რომელმაც პატივიმცა და ჩემს ბენეფისზე თეატრის დარბაზში თავი მოიყარა.

მსახიობი დ. ჩარკვიანი.

(ბეჭდება საცენზურო კანონის მე 114 სტ. 12 მუხლ ძალით)

მოწუადეო ხელშწიფეე,

ბ. რედაკტორო!

წასული წლის „ერი-“ს მე-26-ე ნომერში მასწავლებელმა ა. მოსეშვილმა მოათავსა ჩემს წინააღმდეგ წერილი, რომელიც თავიდან ბოლომდი სიმართლეს ეწინააღმდეგება, ამისათვის ერთხელ კიდევ საჭიროთ მიმაჩნია სამართლის აღსადგენათ ხმა ამოვიღო: 1 აგვისტოს 25 დღით დასვენების ნებართვა ავიღე, ამისთვის 2 აგვისტოს შკოლა ჩავბარე მასწავლებელ მოსეშვილს წერილობითი საბუთით, რომლის მიღებაზე ბ. მოსეშვილს ხელი უწერია შესაფერის წიგნაკში. ეს საბუთი, №29, სხვათა შორის, ამბობს რომ ინსპეკტორი შკოლაში წარმოდგენის გამართვის წინააღმდეგია. შკოლის ჩაბარებას შემდეგ მოსეშვილი პასუხის მგებელი შეიქმნა შკოლის შესახებ და აქ სხვისი დასაყვედურება ყოველად უსაფუძლოა. 4 აგვისტოს შკოლაში წარმოდგენა გაიმართა. მაშ ამის შესახებაც პასუხი იმან უნდა აგოს, ვისაც შკოლა ჩაბარებული ქონდა. წარმოდგენის გამართვის დროს შკოლას მოუვიდა შემდეგი ზარალი: დაზიანდა პარტები, რის შეკეთებასაც დასჭირდა 2 მან., გატყდა ფანჯარის ჩარჩო მინებიანათ, რის გაკეთებასაც დასჭირდა 2 მ., გატყდა ერთი ზურგიანი სკამი, ღირებული 1 მ. 10 შ. დაიკარგა ერთი ქარტა, ღირებული 5 მან., ეს ქარტა, როგორც ახლა ირკვევა გაუტანებია მოსეშვილს ივ. კიკნაძისათვის; ეს ქარტა ჯერეც ამოუგებელია ისევ მოსეშვილის წყალობით—სულ შკოლის ზარალი უდრის 10 მ. 10 შ. მაგრამ მოსეშვილი რაღაც ეჭვს აცხადებს ამ საბუთის შესახებ, ყალბს უწოდებს მას და მასზე ლაპარაკსაც მიშლის, არამც თუ იმაზე დამყარებას; ჩემის აზრით ამ საბუთს მოსეშვილი როდი უნდა აფუჩეჩებდეს, არამედ იმის გამორკვევას მედგრათ უნდა მოითხოვდეს, რადგან ეს საბუთი ბევრ მოწმის ჩვენებას სჯობია; ამას მოითხოვს ყოველი პატიოსანი კაცის მოქალაქობრივი მოვალეობა და თუ მოსეშვილი ამას არ შვრება, უმთავრეს საგანს აფუჩეჩებს და ყალბს უწოდებს მას მეტი გზა არ დარჩენია. ამ საბუთის ნათელის მოფენას ისევ მე უნდა მივმართო და ნუ დამემდურება ბ. მოსეშვილი, თუ ამას მისთვის არა სასურველი შედეგი მოყვეს. არაფერი კეთილსინდისიერი კაცი საქმის გამოსარკვევათ მოწმეებს არ მიმართავს, როცა ხელთა აქვს წერილობითი საბუთი და თუ ამ საბუთში ეჭვი შეგეპარათ, უნდა ეცადოთ ამ ეჭვის დასაბუთებას ან მის გაქარწყლებას. ნათქვამს შემდეგ მოსეშვილს რაღა უნდა მოვახსენო იმ იჭი-ბოჭიაზე, რომელსაც იმის წერილის მეტი ნაწილი უკავია, მაგრამ მაინც არ შემიძლია არ შევჩერდე ამ წერილის ორ ადგილზე: 1) მე არ შემეძლო წარმოდგენისთვის შკოლის შენობა მეთხოვებია და ვერც ვთხოვე, ამას მოსეშვილიც იმეორებს. მაგრამ ამას შემდეგ გასაკვირველი ის არის—თუ კი შენობის დათმობაზე უარი ვუთხარი, როგორ შემიძლია შენობის დარღვევის ნება მიმეცა და აივანი ხომ შენობის ნაწილია, აქ მოსეშვილის აზრი ლოღიკის წინააღმდეგია. 2) თუ სტ. დ. ჩხეიძე გავიხმე და ლაპარაკი დაუწყე, რითი გაიგონა მოსეშვილმა, იმას რაც ვუთხარი, მიყურებას და სხვის ფიქრებში ხელის ფათურს ის არა სჯობია, ის გაეგონა, რაც ყველასთვის გასაგონათ ვთქვი: „ჯერ არაფერი გაგიკეთებიათ და დანგრევ-დაქცევას მიყავით ხელი თქო“.

ქვედა-დამის სასწავლებლის გამგე ბ. ბეგეშიძე.

*) ბ. გ. ურუშაძის წერილები და ეს დეპეშიც დედაქციამ ნახა.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„სახალხო გაზეთი“

(წელიწადი მეხუთე)

1914 წ. გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდი გამოდიოდა კვირაობით

სურათებიანი დამატება

1914 წლ. ხელის მომწერნი, ვინც მთელი წლის საფასურს გადაიხდიან მიიღებენ პრემიათ: პირველი წიგნი: ქართველი მწერლები: 1 „უკვირგვანი მეფე“ ისტორ. დრამა 5 მოქ. ალექ. შანშიაშვილისა. 2. „შიმჭრალი შარავანდი“ ისტ. რომ ვ. ბარნოვისა მეორე წიგნი: უცხოეთის მწერლები: „დონ კარლოსი“—ტრაგ. შილერისა, თარგმ. გერმან. ალ. შანშიაშვილისა.' და სხვ. ნაწარმოები უცხოეთის მწერლებისა მესამე წიგნი ,,სამეცნიერო კრებული.'' ორიგინალური და ნათარგმნი წერილები.

გაზეთის ფასი

თფილისში და მის გარეშ.

12 თ.	11 თ.	10 თ.	9 თ.	8 თ.	7 თ.	6 თ.	5 თ.	4 თ.	3 თ.	2 თ.	1 თ.
8მ.10შ.	8 მ.—„	7მ.10შ.	6მ.15შ.	6 მ.—„	5მ. 5შ.	4მ.10შ.	3მ.15შ.	3 მ.—„	2მ. 5შ.	1მ.10შ.	—15შ.

საზღვარ გარეთ.

15მ.—„	13მ15შ	12მ.10შ	11მ.5შ	10მ.—„	8მ15შ	7მ.10შ.	6მ. 5შ.	5 მ.—„	3მ.15შ.	2მ.10შ.	1მ. 5შ.

ცალკე ნომერი ფეგლგან შაურათ; დამატებანი შვიდ კაპეკათ.

თებერვლის უკანასკნელ რიცხვებში ადესელ სტუდენტთა ინიციატივით გამოცა ქართულ ენაზე სამეცნიერო- სალიტერატურო- კრებული

„ცხოვრება და მეცნიერება,“

რომელშიაც მონაწილეობას იღებენ სტუდენტების გარდა ადგილობრივ უნივერსიტეტში მომუშავე სამეცნიერო ძალები. სუფთა შემოსავალი ამ კრებულიდან გადაიდება ადესის ქართულ საზოგადოების ,,საქართველო''-ს სასარგებლოთ.

შინაარსი.

ბრ.—დოტ: ს. ავალიანი. **დროებით ვადდებულ** გლეხთა სკითხი. **ორდინატორი ნერვიულ კლინიკისა** აქმი ს. ეიფშაძე: **საუბარი ტვინის ფუნქციებზე. ბრიზეკტორი ანატომიურ თეატრისა** აქმი ნ. **კახიანი: ნორმალურ ანატომიის** შესავალი (**უჯრედი** და ქსოვილი). **ორდინატორი ვენერიულ კათეორაზე** აქმი მ. **ცეცხლაძე: ადამიანის** სქესობრივი **ცხოვრება. სტუდენტი ჰ. ქაჯაია**ძე: **ანაბიოზი. სტ. ქ. რაჭველიშვილი. საუბარი ხელოვნების** შესახებ. **სტ. ს. ასლანიშვილი. სამეცნ-საათაბაგოს** სიძველენი. **სტ. გ. კარბელაშვილი. ახალგაზდები** (**მოთხ. სტუდ. ცხოვ.**) **სტ. დ. ყელენტი. ბავშის ადზდა. სტ. გ. ურუშაძე. რადის მნიშვნელობა** მედიცინაში.

ხელის მოწერა მიიღება ქუთაისში კ. ოცხელის და აპზ. წიგნის მაღაზიაში ალექსანდრეს ქუჩა. ზ. კოკოჩაშვილის სახლი. ხელის მოწერით წიგნი ეღირება ერთი მანეთი, შემდეგ 1 მ. 10 შ.

გ. გოლდაძისა და ს. ზერეთლის

ერთადერთი **წარმომადგენელი ქუთაისის** გუბერნიაში, **ბათომისა** და **სოხუმის** ოლქში **უმაღლესი სასახლის** კოფიმეისტერის, იური **სტეფანეს** ძის ნეჩავ-მაღლევის ბემსკის მინების ქარხნისა, მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება მანის უფუზენიშანს „БЕМСКОЕ“

რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:

საუკეთესო ქარხნებისგან **მიღებული რკინეული**

საქონელი: კარის, ფანჯრის და ღუმელის მოწყობილობანი; სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი სადებავი წამალი, ელეკტრონის ზარის მოწყობილობა, შპალიერი, ცემენტი, ემალიანი ჭურჭელი, ასფალტი და სხ.

ვაჭრობა პარტიათა და წვრილათ ხელმისაწდომ ფასათ.

ქ. ქუთაისში, სადგურთან შენობაში, მიხეიდის ქუჩაზე № 65

სპეციალური წიგნის მაღაზია

კ. ოცხელისა და ამხ.

ქუთაისში.

იყიდება ყოველ გვარი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი, გეოგრაფიული კარტები, სურათები თვალ საჩინო სწავლის ათვის, მწერლების სურათები, მოძრავი ანბანი და სხვა.

პროვინციის წიგნის მაღაზიებს, სასწავლებლებს და ბიბლიოთეკებს ეძლევათ **დიდი სადავათი.**

სპეციალური საკანცელარიო მაღაზია

დ. ოცხელისა

ქუთაისში.

იყიდება ყოველ გვარი საკანცელარიო და სასწავლო ნივთი ახლათ მიღებული არიმეტიკული ,,ჩოთქები'' და ყუთები, საღებავები, საუკეთესო რვეულები, ყოველგვარი ქაღალდი, კალენდრები, პორტფელები, კანტორის წიგნები. და მრავალი სხვა.

ფასები მეტათ ზომიერია.

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერ. ჟურნალი

„განათლება“

მიიღება ხელისმოწერა 1914 წლისთვის.

(წელიწადი მეშვიდე).

1914 წელში ჟურნალი ,,განათლება'' ჩვეულებრივათ გამოვა ყოველთვის შუა რიცხვებში გარდა ზაფხულის ორის თვისა. ჟურნალში იბეჭდება წერილები, როგორც სწავლა-აღზდის შესახებ, აგრეთვე მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან და სიტყვაკაზმული მწერლობიდან; აქვს თვიური ჟურნალის ყველა განყოფილება, გამოვა ჩვეულებრივზე უკეთ დასურათებული. **ჟურნალში მონაწილეობას იღებენ ჩვენი საუკეთესო მეცნიერები, მწერლები, პედაგოგები და პოეტები.**

ჟურნალში არის ცალკე განყოფილება, სადაც იბეჭდება ყოველგვარი ცნობა ქ. შ. ,,ერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და მისი განყოფილებათა მოქმედების შესახებ.

წლიური ფასი ჟურნალისა არის **ოთხი მანეთი** (4 მ.) მხოლოდ სოფლის მასწავლებლებს და სასოფლო სამკითხველოებს ჟურნალი დაეთმობათ **სამ მანეთად**, საზღვარგარეთ 6 მან. 1914 წ. ხელისმომწერლები მიიღებენ საჩუქრათ: **ილია ჭავჭავაძის, პესტალოციის, უშინსკის, რუსოსა და კომენსკის სურათებს.**

ხელისმოწერა მიიღება **თფილისში:** ქართულ გიმნაზიაში, „ნაკადულის“ რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში **ივანე ავადიშვილთან. ქუთაისში** ისიდორე კვიცარიძესთან, **ბათომში** ტრ. ინასარიძესთან და წიგნის მაღაზია „განთიადში“, ამ ორ ადგილას და სამტრედიაში იყიდება ცალკე ნომრებიც, თითო 2 აბაზათ.

რედაქცია სთხოვს ხელისმომწერლებს დროზე დაიკვეთონ ჟურნალი.

მისამართი: Тифлисъ. Дворянская Грузинская Гимназія *Л. Г. Боцвадзе.*

რედაქტორ-გამომცემელი ლ. გ. ბოცვაძე.

რედაქტორ-გამომცემელი გ. ბრეგაძე.

რკინის გზა.

ქუთაისიდან მიდის

თფილისს:	სახალხო	დილის	10 საათ. 6 წ.
	ფოშტის	დილის	11 საათ. 55 წ.
	სახალხო	ღამით	11 საათ. 27 წ.
ბათომს:	სახალხო	დილის	5 საათ. 10 წ.
	სახალხო	ღამით	11 საათ. 27 წ.
	ფოშტის	საღამოს	5 საათ. 21 წ.
ფოთს:	საადგილო	დღის	4 საათ. 22 წ.
	სახალხო	ღამით	5 საათ. 10 წ.
	ფოშტის	დღით	5 საათ. 21 წ.
შორაპანს:	საადგილო	დღით	4 საათ. 57 წ.
ტყიბულს:	სახალხო	დილის	7 საათ. 50 წ.

ქუთაისს მოდის.

თფილისიდან:	სახალ.	დილ.	7 საათ. —
	ფოშტის	საღამ.	6 საათ. 55 წ.
	სახალხო	ღამ.	1 საათ. 28 წ.
ბათომიდან:	საფ.-სახ.	დილ.	11 საათ. 14 წ.
	სახალხო	ღამ.	1 საათ. 27 წ.
ფოთიდან:	საადგილ.	დილ.	10 საათ. 3 წ.
	სახალხო	დღით	1 საათ. 20 წ.
	სახალ.	ღამით	1 საათ. 26 წ.
შორაპნიდან:	საადგილ.	დილის	9 საათ. 31 წ.
ტყიბულიდან:	საღამოს	—	5 საათ. 11 წ.

ბილეთის ფასი: